ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

19-77

დადგენილება № ---

“ 22 ” დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის, 120–ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშორების წესების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი თანდართული ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) ფორმა (დანართი №1);

ბ) პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა (დანართი №2).

გ) პირობებით გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობისხელშეკრულების ფორმა (დანართი №3).

დ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა (დანართი №4);

2. ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის თანდართული ფორმის ტექსტი შესაძლებელია შეიცვალოს მოქმედი კანონმდებლობისა და საპრივატიზებო ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.

3. ელექტრონული ოქმის და ელექტრონული ფორმით გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე გადაწყვეტილების თანდართულ ფორმებს, ელექტრონული აუქციონის და დოკუმენტის ელექტრონულად გაცემის თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში, ოქმი უნდა შეიცავდეს დადგენილ პირობებს, მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის ოდენობას და მისი გადახდის ვადებს, პირგასამტეხლოს ოდენობას და გადახდის ვადებს და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის, მათ შორის, პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევებს.

5. ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების ელექტრონული ოქმი და მისი ამონაბეჭდი, აგრეთვე ელექტრონული ფორმით გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და მისი ამონაბეჭდი წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის ვებგვერდის მეშვეობით.

6. ელექტრონულ ოქმს და საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას აქვს იურიდიული ძალა, აუქციონატორის ან/და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერის და ბეჭდის გარეშე.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების), ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობებისა და საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9–64 გადაწყვეტილება.

8. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი

ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება)

№ ----------

„----“ „------ -------“ 20 წელი

ქ. თბილისი

აუქციონში გამარჯვებული პირის/ოქმის ადმინისტრაციული დაპირების მიმღები პირის მონაცემები:

სახელი, გვარი/დასახელება	-------/ ----------
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი	000000000/000000000
მისამართი	---------- ----------
წარმომადგენელი/მინდობილი პირი	----------/----------

აუქციონზე შეძენილი ქონების მონაცემები:		ჩატარებული აუქციონის მონაცემები:	
(მისამართი ან/და სხვ)	----------	აუქციონის ჩატარების თარიღი	----------
საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი №	----------	აუქციონის №	-------
უძრავი ქონების ფართი კვ.მ.,	----------	აუქციონის ლოტის №	------

ᲮᲘᲚᲘᲡ ᲝᲓᲔᲮᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ

ჩატარებული აუქციონის შესახებ ინფორმაცია:

ქონების საწყისისაპრივატიზებო ფასი ლარებში ----------

აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ფასი ლარებში ----------

გაყიდული ქონების სრული საპრივატიზებო საფასური ლარებში ----------

აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური ლარებში ----------

ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობები:

სრული საპრივატიზაციო საფასურის გადახდის ბოლო ვადა ----------

აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასურის გადახდის ბოლო ვადა ----------

სხვა ვალდებულება ----------

შეზღუდვა: ----------

აუქციონში გამარჯვებული პირის განცხადება:

ვაცხადებ, რომ მონაწილეობა მივიღე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერმოწყობილ წინამდებარე აუქციონზე. აუქციონის შესახებ ინფორმაცია და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) პირობები ვიხილე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვედზე http://www.iauctio№.ge/ და სრულად ვეთანხმები მას. ინფორმირებული ვარ, რომ აუქციონშიგამარჯვებისდამადასტურებელიოქმის (შემდგომში - ოქმი) საფუძველზე 30 კალენდარული დღის ვადაში, უნდა გაფორმდეს აუქციონატორსა და ჩემს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება). ჩემთვის ცნობილია, რომ ჩემ მიერ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმა მართმევს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის სტატუსს და გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დამიბრუნდება.

სახელი გვარი ------ ---------

დანართი: 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის

ხელშეკრულება

N-----

"-------" "-------- ----------" ქ. თბილისი

(რიცხვი, თვე, წელი)

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა -

(აუქციონში გამარჯვებულის - ფიზიკური პირის სახელი, გვარი/ იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის" მოთხოვნების შესაბამისად

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, ქონების დასახელება, მონაცემები საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, ფართობი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

მდებარე - ----------

(ქონების მისამართი)

ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური*: --- (--------) ლარი.*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომი პრივატიზების მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამართულ -----*N*----აუქციონზეN ---- ლოტზე მისმიერ

შემოთავაზებული ფასის: ----------

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი N ოქმით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ საკუთრებაში გადაეცემა

(შემდგომში– ქონება)

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან მათ შორის ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

(აუქციონის პირობები:)

ა) აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასური: --------- *(----------)* ლარი

(ციფრებით) (სიტყვიერად)

გადაიხადოს წინამდებარე *ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (კალენდარული) დღის ვადაში*

შემდეგ საბანკო ანგარიშზე -

---

*ბ)*_____

გ)

დ)

ე)

სხვა პირობები და ვალდებულებები:

1. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე, აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში, ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

2. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, აუქციონის პირობები, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები

3. აუქციონში გამარჯვებულს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გადაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

4. ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის სრულ საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს, აუქციონის შედეგები უქმდება, აუქციონში გამარჯვებულს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, არ უბრუნდება შეტანილი "ბე" ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ უნაზღაურდება;

6. აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე" ჩაითვლება ანგარიშწორებისას.

7. ელექტრონულ აუქციონშიგამარჯვებულს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

8. ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის სრული საპრივატიზებო საფასურის და მომსახურების საფასურის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

9. საკუთრებისდამადასტურებელიმოწმობისსაფუძველზესაჯარორეესტრშისაკუთრებისუფლებისრეგისტრაციასუზრუნველყოფსაუქციონატორი.

10. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. პრივატიზებულქონებასთანდაკავშირებულისადავოსაკითხისსასარჩელოხანდაზმულობისვადაა 3 წელი.

12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი რჩება გამყიდველს, ხოლო ერთი გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.

13. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის

ქონების მართვის სააგენტო

აუქციონატორი:

(ხელმომწერი)

(რეკვიზიტები) (ხელმოწერა)

აუქციონში გამარჯვებული პირი

(ხელმომწერი)

--- ---

(რეკვიზიტები) (ხელმოწერა)

--- ბეჭდის ადგილი

დანართი 3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

პირობებით გამოცხადებულ აუქციონის

ხელშეკრულება

N-----

"-------" "-------- ----------" ქ. თბილისი

(რიცხვი, თვე, წელი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

_____

_____

_____

(აუქციონში გამარჯვებულის) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/ იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის" მოთხოვნების შესაბამისად

_____

_____

_____

_____

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, ქონების დასახელება, მონაცემები საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, ფართობი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

მდებარე - *ქ. თბილისი,* ----------

(ქონების მისამართი)

ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური*: --- (------) ლარი.*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომი პრივატიზების მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ ჩატარებულ -------აუქციონზემისმიერ

შემოთავაზებული ფასის: ----------

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – აუქციონში გამარჯვებული) და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი N ოქმით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ საკუთრებაში გადაეცემა

(შემდგომში– ქონება)

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან მათ შორის ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

(აუქციონის პირობები:)

ა) აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასური: --------- *(----------)* ლარი

(ციფრებით) (სიტყვიერად)

გადაიხადოს *აუქციონის ჩატარებიდან* --------*ვადაში*

(აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ვადა)

შემდეგ საბანკო ანგარიშზე -

---

*ბ)*_____

გ)

დ)

ე)

სხვა პირობები და ვალდებულებები:

1. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე, აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში, ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
2. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათ შესრულებაზე წარუდგინოს ინფორმაცია აუქციონატორს.

3. აუქციონში გამარჯვებულს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე არ ააქვს უფლება გადაცემული ქონება განკარგოს, გადასცეს სხვას სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

4. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ოქმითა და წინამდებარე ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

5. შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს აუქციონში გამარჯვებულის უფლებამონაცვლეს.

6. ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

7. ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობაგანისაზღვრებაოქმითა და ხელშეკრულებითელექტრონული აუქციონისპირობებიდანგამომდინარე, კერძოდ:

ა)ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელი თანხის 0.1% - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ)აუქციონში გამარჯვებულის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე - ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%.

8. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად. აუქციონში გამარჯვებულს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, არ უბრუნდება შეტანილი "ბე" ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება;

9. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის, მომსახურების საფასურის და განვადების საფასურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისშემდეგ. ხოლო, წილებისა და აქციების შემთხვევაში - შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა და საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.

10. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს აუქციონატორი.

11. აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე" ჩაითვლება ანგარიშწორებისას.

12. ელექტრონულ აუქციონშიგამარჯვებულს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

13. იმ შემთხვევაში თუკი ოქმითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულია შეზღუდვები, აღნიშნული განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა.

14. პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით.

15. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. პრივატიზებულქონებასთანდაკავშირებულისადავოსაკითხისსასარჩელოხანდაზმულობ ისვადაა 3 წელი.

17. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი რჩება გამყიდველს, ხოლო ერთი გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.

18. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს, და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

19. ხელშეკრულებას, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

1. ამონაწერი საჯარო და/ან სამეწარმეო რეესტრიდან;

2. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული იურიდიული პირია, იურიდიული პირის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

3. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული მოქმედებს წარმომადგენილის მეშვეობით წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

აუქციონატორი:

(ხელმომწერი)

(რეკვიზიტები) (ხელმოწერა)

აუქციონში გამარჯვებული პირი

(ხელმომწერი)

--- ---

(რეკვიზიტები) (ხელმოწერა)

---------- ბეჭდის ადგილი

დანართი №4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№_____

„------“----------20 წ.

ეძლევა _____

(მესაკუთრე და მისი მისამართი)

_____მასზედ,

რომ მას გადაეცა საკუთრებაში _____

(ქონების დასახელება და მისამართი)

_____

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

_____

(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი: _____

(ოქმის და ხელშეკრულების დასახელება ნომერი)

ოქმის და ხელშეკრულების შედგენის თარიღი _____

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, რომელთაგან ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მესამე ეგზემპლარი ინახება სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ძალაშია ოქმთან და ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ----------

(სახელი, გვარი)

_____

(ხელმოწერა) ბ.ა.

განმარტებითიბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ზოგადიინფორმაციაპროექტისშესახებ:

ა.ა) პროექტისმიღებისმიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკრებულოს კომპეტენციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით. ასევე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის N დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოებმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.ამდენად, დღის წესრიგში დადგა „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების), ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობებისა და საკუთრების

უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9–64 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავება.

ა.ბ) პროექტისმიზანი:

პროექტის მიზანია აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების), პირობებით და პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულებების და საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცება.

ა.გ) პროექტისძირითადიარსი:

პროექტით მტკიცდება:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი თანდართული ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) ფორმა;

ბ) პირობების გარეშე გამოცხადებულ აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა;

გ) პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულებისფორმა;

დ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა.

იმის გათვალისწინებით, რომ დამტკიცებული ფორმებით განსაზღვრული დებულებების გარდა, აუქციონის პირობებიდან გამომდინარე, ტექსტი შესაძლებელია შეიცვალოს, პროექტით აუქციონატორს ენიჭება უფლებამოსილება რომ ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის თანდართული ფორმის ტექსტი შეცვალოს მოქმედი კანონმდებლობისა და საპრივატიზებო ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.

პროექტით დგინდება, რომ ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების ელექტრონული ოქმი და მისი ამონაბეჭდი, აგრეთვე ელექტრონული ფორმით გაცემული

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და მისი ამონაბეჭდი წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის ან/და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის ვებგვერდის მეშვეობით.

პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების), ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობებისა და საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9–64 გადაწყვეტილება.

ბ) პროექტისფინანსურიდასაბუთება:

ბ.ა) პროექტისმიღებასთანდაკავშირებითაუცილებელიხარჯებისდაფინანსებისწყარო:

პროექტისმიღებაარგამოიწვევსაუცილებელიხარჯებისგამოყოფასქ.თბილისის მუნიციპალიტეტისბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტისგავლენაბიუჯეტისსაშემოსავლონაწილზე:

პროექტი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეარ მოახდენს გავლენასქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილეორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროექტსარახლავსექსპერტისშეფასება.

დ.გ) პროექტისავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო.

დ.დ) პროექტისწარმდგენი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.